ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032506564-03
თარიღი: 06.03.2025 16:40
ვადა: 07.04.2025

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: 2722222; (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01250653038 განცხადების თარიღი: 06.03.2025
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

---

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

---

## მოთხოვნის ტექსტი

2025 წლის 5 მარტის N25.273.339 განკარგულებით მოწონებული მთავრობის თანხმობები საკრებულოში გადასაგზავნი

---

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032506564-03
06.03.2025 : 16:40
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01250653038**
თარიღი: **06/03/2025**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი N01250372672-67 და N01250372659-67; N01250503527-67; N01250503694-67; N01250142606-67; N01250501830-67 განცხადებით მოთხოვნილია ქ. თბილისის ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული ფუნქციური ზონის ცვლილება. აღნიშნული საკითხები „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-9, მე-10, მე-12 პუნქტების თანახმად, განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მოწონებული იქნა 2025 წლის 5 მარტის N25.273.339 განკარგულებით.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, განსახილველად გიგზავნით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 5 მარტის N25.273.339 განკარგულება - 9 ფურცელი;

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი -9 ფურცელი;

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი - 9 ფურცელი;

4. პრეზენტაცია 14 ფურცელი.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

**განკარგულება - N 25.273.339**
**5 / მარტი / 2025 წ.**

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2025 წლის 6 თებერვლის N01250372672-67 და N01250372659-67 განცხადებებით ანნა თინიკაშვილმა (პ/ნ 01021016318) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში და ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ბ) 2025 წლის 19 თებერვლის N01250503527-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

გ) 2025 წლის 19 თებერვალს N01250503694-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

დ) 2025 წლის 14 იანვრის N01250142606-67 განცხადებით ლალი ავაქიშვილმა (პ/ნ 36001003531) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ე) 2025 წლის 19 თებერვლის N01250501830-67 განცხადებით გივი კახაბრიშვილმა (პ/ნ 01024065351) მოითხოვა ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში და ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონის დაბრუნება და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, N01.81.01.262.002 და N81.01.01.359 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 22 მაისის Nბ-19/01230792025-17 ბრძანებით მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში N01.81.01.262.002 საკადასტრო კოდით (წინა საკადასტრო კოდი: N81.01.01.740) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი), ხოლო N81.01.01.359 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ N01 შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 2008 წელს გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილებას განიხილავს, როგორც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევას. ამასთან, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილოს N81.01.98.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ სივრცეზე, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია იმყოფება საპროექტო მიწის ნაკვეთების თანაბარ პირობებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 20 თებერვლის N18-01250512634 წერილით, თანახმაა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359; N81.01.98.052) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ტერიტორიის აუქციონის ფორმით პრივატიზება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამხრეთით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ფრაგმენტიზაციას (ზონის სტრუქტურის რღვევას) და საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ტერიტორიის აუქციონის ფორმით პრივატიზება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 25 თებერვლის N01250563409 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N72.13.19.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სატყეო ზონა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N72.13.19.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილსა და მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 2 (ს-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 25 თებერვლის N01250563391 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ბ.ა" და „ე.ბ" ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359; N81.01.98.052) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

საქართველო, თბილისი, 0160, ქ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

ბ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

გ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილსა და მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ე) ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2025 წლის 6 თებერვლის N01250372672-67 და N01250372659-67 განცხადებებით ანნა თინიკაშვილმა (პ/ნ: 01021016318) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში და ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ბ) 2025 წლის 19 თებერვლის N01250503527-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

გ) 2025 წლის 19 თებერვალს N01250503694-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

დ) 2025 წლის 14 იანვრის N01250142606-67 განცხადებით ლალი ავაქიშვილმა (პ/ნ: 36001003531) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა, N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ე) 2025 წლის 19 თებერვლის N01250501830-67 განცხადებით გივი კახაბრიშვილმა (პ/ნ: 01024065351) მოითხოვა ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

**საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:**

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში და ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002;

N81.01.01.359) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონის დაბრუნება და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, N01.81.01.262.002 და N81.01.01.359 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 22 მაისის Nბ-19/01230792025-17 ბრძანებით მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში N01.81.01.262.002 საკადასტრო კოდით (წინა საკადასტრო კოდი: N81.01.01.740) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი), ხოლო N81.01.01.359 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ N01 შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 2008 წელს გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილებას განიხილავს, როგორც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევას. ამასთან, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილოს N81.01.98.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ სივრცეზე, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია იმყოფება საპროექტო მიწის ნაკვეთების თანაბარ პირობებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 20 თებერვლის N18-01250512634 წერილით, თანახმაა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდეს

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359; N81.01.98.052) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ტერიტორიის აუქციონის ფორმით პრივატიზება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამხრეთით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ფრაგმენტიზაციას (ზონის სტრუქტურის რღვევას) და საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ტერიტორიის აუქციონის ფორმით პრივატიზება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა, N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 25 თებერვლის N01250563409 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N72.13.19.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სატყეო ზონა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N72.13.19.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა, N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილსა და მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 2 (ს-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 25 თებერვლის N01250563391 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ზ.ა“ და „ე.ზ“ ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:**

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359; N81.01.98.052) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ბ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

გ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა, N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილსა და მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ე) ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი** **კახა კალაძე**


ფუნქციური ზონები
ლეგენდა
ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)
საცხოვრებელი ზონა (სზ)
საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)
საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)
საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)
საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4)
საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)
საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
საკულტო
სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
სამრეწველო ზონა 2 (ს-2)
სანიტარული ზონა (სანზ)
სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)
სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ)
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)
სატრანსპორტო ზონა 3 (ტზ-3)
სატყეო
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)
სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)
სპეციალური ზონა 2 (სპეცზ-2)
გარემოს დამცავი ზონა 3 (გდზ-3)
4
3
2
1
5
1:30,000

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**საკითხი 1**

## ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: ანნა თინიკაშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: ფიზიკური პირი

მესაკუთრე: გიორგი ტლაშაძე

მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, გიორგი ერისთავის ქუჩა N 7ა

საკადასტრო კოდი : N81.01.01.359, 01.81.01.262.002, 81.01.98.052 და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია

მიზნობრიობა: 2014-2018 გენ-გეგმის ზონირების დაბრუნება

https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=573801&lrId=10880#/C=44.6470058-41.6519735@Z=17

განცხადების ნომერი : N01250372672-67

### ფუნქციური ზონირება 2014-2018



### არსებული ზონირება



### მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სატყეო ზონის (სატყეო) ცვლილება საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)-ით
ცვლილების საერთო ფართობი: 1567 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)

# ზონირების ბალანსი

საკითხი 1

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
| --- | --- |
| **სატყეო ზონა** (სატყეო) (**1567**კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-1** (სზ-1) (**1567**კვ.მ) |

**გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2025 წლის 20 თებერვლის N18-01250512634 წერილით** სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (სატყეო ზონა)

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია :** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

# გამწვანების თემატური რუკა

საკითხი 1

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**საკითხი 2**

## ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო

დამკვეთის ინფორმაცია: რუსუდან გეჯაძე

მესაკუთრე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

მისამართი: ქალაქი თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხი N12-ში

საკადასტრო კოდი : N01.19.18.006.055

მიზნობრიობა: აუქციონის ფორმით პრივატიზება

https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=582783&lrId=10880#/C=44.9028054-41.6931738@Z=17

განცხადების ნომერი : N 01250503527-67

## ფუნქციური ზონირება 2014-2018



## არსებული ზონირება



## მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სამრეწველო ზონა-1 (ს-1) - ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6)-ით
ცვლილების საერთო ფართობი: 6309კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა-1 (ს-1)

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **სამრეწველო ზონა-1** (ს-1) (**6309**კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-6** (სზ-6) (**6309**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** არ საჭიროებს.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია :** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

საკითხი 3

### ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: სსიპ ქონების მართვის სააგენტო

დამკვეთის ინფორმაცია: სსიპ ქონების მართვის სააგენტო

მესაკუთრე: სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი“

მისამართი: ქალაქი თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხი N1-ის მიმდებარედ

საკადასტრო კოდი : N01.19.18.006.621

მიზნობრიობა: აუქციონის ფორმით პრივატიზება

https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=582801&lrId=10880#/C=44.9037146-41.6929255@Z=17

განცხადების ნომერი : N 01250503694-67

### ფუნქციური ზონირება 2014-2018



### არსებული ზონირება



### მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სამრეწველო ზონა-1 (ს-1) - ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6)-ით.
ცვლილების საერთო ფართობი: 141კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა-1 (ს-1).

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
| --- | --- |
| სამრეწველო ზონა-1 (ს-1) (141კვ.მ) | საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6) (141კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** არ საჭიროებს.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია :** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება.

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**საკითხი 4**

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: ლალი ავაქიშვილი

მესაკუთრე: ხათუნა ქოჩაშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი გლდანი, 26 მაისის ქუჩა N114-ში

საკადასტრო კოდი : N72.13.19.016 და მიმდებარე ტერიტორია

მიზნობრიობა: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება

https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=564075&lrId=10880#/C=44.8222656-41.8260291@Z=17

განცხადების ნომერი : N 01250142606-67

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: სატყეო ზონის (სატყეო) ცვლილება საცხოვრებელი ზონა-2 (სზ-2)-ით.
ცვლილების საერთო ფართობი: 985 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა-3 (რზ-3), საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

# ზონირების ბალანსი

საკითხი 4

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
| --- | --- |
| **სატყეო ზონა** (სატყეო) (**985**კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-2** (სზ-2) (**985**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** 2025 წლის 25 თებერვლის N01250563409 წერილით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (სატყეო ზონა).

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია :** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

# გამწვანების თემატური რუკა

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



# გამწვანების თემატური რუკა

**საკითხი 5**

### ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: გივი კახაბრიშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: სამველ აგიკიანი

მესაკუთრე: შპს „ბუნება“

მისამართი: ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N50ა-ში

საკადასტრო კოდი : N01.18.12.023.020 ნაწილზე

მიზნობრიობა: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება

https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=582536&lrId=10880#/C=44.9119508-41.6455294@Z=17

განცხადების ნომერი : N 01250501830-67

### ფუნქციური ზონირება 2014-2018



### არსებული ზონირება



### მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: გამწვანებული ტერიტორიების რუკით ურბანული გამწვანების (შიდა კვარტლური) ცვლილება.
ცვლილების საერთო ფართობი: 2618 კვ.მ;
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2), სამრეწველო ზონა-2 (ს-2).

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
| --- | --- |
| **ურბანული გამწვანება** (შიდა კვარტლური) (**2618**კვ.მ) | **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1** (სსზ-1) (**1575**კვ.მ) |
| | **სამრეწველო ზონა-1** (ს-1) (**1043**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** 2025 წლის 25 თებერვლის N01250563391 წერილით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

საკითხი 5

# ფუნქციური ზონირების რუკა

არსებული ზონირებისა და გამწვანების ფენა



არსებული ფუნქციური ზონა რჩება უცვლელი



**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის განმარტებითი ბარათი**

**ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

ა) 2025 წლის 6 თებერვლის N01250372672-67 და N01250372659-67 განცხადებებით ანნა თინიკაშვილმა (პ/ნ: 01021016318) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში და ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ბ) 2025 წლის 19 თებერვლის N01250503527-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

გ) 2025 წლის 19 თებერვალს N01250503694-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

დ) 2025 წლის 14 იანვრის N01250142606-67 განცხადებით ლალი ავაქიშვილმა (პ/ნ: 36001003531) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა, N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ე) 2025 წლის 19 თებერვლის N01250501830-67 განცხადებით გივი კახაბრიშვილმა (პ/ნ: 01024065351) მოითხოვა ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

**საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:**

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში და ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002;

N81.01.01.359) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონის დაბრუნება და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, N01.81.01.262.002 და N81.01.01.359 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 22 მაისის Nზ-19/01230792025-17 ბრძანებით მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში N01.81.01.262.002 საკადასტრო კოდით (წინა საკადასტრო კოდი: N81.01.01.740) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი), ხოლო N81.01.01.359 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ N01 შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 2008 წელს გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილებას განიხილავს, როგორც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევას. ამასთან, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილოს N81.01.98.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ სივრცეზე, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია იმყოფება საპროექტო მიწის ნაკვეთების თანაბარ პირობებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 20 თებერვლის N18-01250512634 წერილით, თანახმაა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდეს

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359; N81.01.98.052) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ტერიტორიის აუქციონის ფორმით პრივატიზება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამხრეთით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ფრაგმენტიზაციას (ზონის სტრუქტურის რღვევას) და საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ტერიტორიის აუქციონის ფორმით პრივატიზება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა, N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 25 თებერვლის N01250563409 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N72.13.19.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სატყეო ზონა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N72.13.19.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა, N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილსა და მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 2 (ს-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 25 თებერვლის N01250563391 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

**ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

**გ) პროექტის ავტორ(ებ)ი:**

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

**დ) პროექტის წარმდგენი:**

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

_____ 2025 წ. ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 15/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

ა) 2025 წლის 6 თებერვლის N01250372672-67 და N01250372659-67 განცხადებებით ანნა თინიკაშვილმა (პ/ნ: 01021016318) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში და ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ბ) 2025 წლის 19 თებერვლის N01250503527-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

გ) 2025 წლის 19 თებერვალს N01250503694-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

დ) 2025 წლის 14 იანვრის N01250142606-67 განცხადებით ლალი ავაქიშვილმა (პ/ნ: 36001003531) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა, N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ე) 2025 წლის 19 თებერვლის N01250501830-67 განცხადებით გივი კახაბრიშვილმა (პ/ნ: 01024065351) მოითხოვა ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

**საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:**

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში და ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონის დაბრუნება და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, N01.81.01.262.002 და N81.01.01.359 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 22 მაისის Nბ-19/01230792025-17 ბრძანებით მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში N01.81.01.262.002 საკადასტრო კოდით (წინა საკადასტრო კოდი: N81.01.01.740) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი), ხოლო N81.01.01.359 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ N01 შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 2008 წელს გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილებას განიხილავს, როგორც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევას. ამასთან, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილოს N81.01.98.052

საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ სივრცეზე, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია იმყოფება საპროექტო მიწის ნაკვეთების თანაბარ პირობებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 20 თებერვლის N18-01250512634 წერილით, თანახმაა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N7ა-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, გიორგი ერისთავის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.81.01.262.002; N81.01.01.359; N81.01.98.052) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ტერიტორიის აუქციონის ფორმით პრივატიზება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამხრეთით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ფრაგმენტიზაციას (ზონის სტრუქტურის რღვევას) და საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ჩიხის N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.055) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ტერიტორიის აუქციონის ფორმით პრივატიზება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.006.621) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა, N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 25 თებერვლის N01250563409 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N72.13.19.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სატყეო ზონა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N72.13.19.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის

მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩა, N114-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.016) ნაწილსა და მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 2 (ს-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 25 თებერვლის N01250563391 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.020) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

**ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:**

წარმოდგენილი მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება მოთხოვნილი ფუნქციური ზონების შესაბამისად/განკარგვა/ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

**ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:**

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონების ცვლილება/დაზუსტება.

**ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:**

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

**გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

ინიციატორის მოსაზრებით დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

**დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**ე) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ვ) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.